სახალხო გაზეთი

№ 504 პარასკევი, 20 იანვარი 1912 წ. № 504

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.—პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისათვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо газети, п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ქართული თეატრი

კვირას, 22 იანვარს 1912 წ.

მ. მ. საფაროვ-აბაშიძის საიუბილეო დღესასწაულის გეგმა

დილით 12 საათზე.

1. **მ. მ. საფაროვ-აბაშიძისას** სცენაზე გამოიყვანს მხცოვანი მგოსანი **აკაკი** და მიმართავს სიტყვით. 2. **„მრავალ-ჟამიერ“** კანტატა ზ. ფალიაშვილისა, ორკესტრი „ახალი კლუბისა“ და შეერთებული ხორო ქართულ გიმნაზიისა და ფილორმონიულ საზოგადოებისა. 3. **მილოცვები სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებათა და პირთა.** (შიგა და შიგ იგივე ხორო ქართულ ეროვნულ სიმღერებს იმღერებს).

— **დილის დღესასწაული დასრულდება იუბილარის სიტყვით** —

საღამოთი (8 საათზე). 1) შეერთებული ხორო ქართულ გიმნაზიისა და ფილარმონიულ საზოგადოებისა და „ახალი კლუბის“ ორკესტრი შეასრულებს **კანტატას;** 2) ქართულ დრამ. საზოგადოების დასის მიერ **მ. მ. საფაროვ-აბაშიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: 1) **პარიზელი ბიჭი** კომედ. 2 მოქ. თარგ. გ. ჯორჯაძისა. 2) **„ბიძიასთან გამოხუმრება“** ხუმრობა ერთ მოქ. **მილოცვა დრამატიულის** და დასარაფ. ერისთავისა. **დასისა** სრულ

აპოთეოზი

შენიშვნა: ჩაწერილი ბილეთები შეინახება მხოლოდ 20 იანვარს საღამომდე.

(3—194—1)

ტფილისი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.

სურათებიანი დამატებით.

(კვირაობით)

პრემიად 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **გრდემლი**

ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი,

რომელიც „სახალხო გაზეთის“ რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.

კრებული „გრდემლი“ დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ **იანვარშივე დაურიგდება.**

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. **ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.**

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

ექვსი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი“ მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისთანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

შაბათს, 21 იანვარს,

ბარბარე იას ასულის ხუცაიძის

გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე, ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მეუღლე მისი **ივანე ქრისტესიას ძე ხუცაიძე.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

(1—191—1)

ქ. თელავი

კვირას, 22 იანვარს, ქალაქის საკრებულო დარბაზში ქართულ სცენის მოჭირნახულე **მარიამ მიხეილის ასულის საფაროვ-აბაშიძის** პატივსაცემად გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა

I **აპოთეოზი** — მ. საფაროვ-აბაშიძის ბიოგრაფია და სიმღერები.

II **ვაის გავეყარე ვუის შევეყარე** — 3 მოქ. კომ. ვ. გუნიასი.

III **ცეკვა.**

ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

საღამოს დიასახლისი **მარიამ მ. კანდელაკისა.**

(2—1065—1)

ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

გ. გ. გიგინეიშვილისა.

ამა წლის 25 იანვრიდან იხსნება მეორე პარალელური განყოფილება. **კურსი 10 თვიანია.** სწავლის ფასი 100 მან. კურსებზე შესასვლელად საჭიროა ოთხ-კლასიანი განათლება. მსურველებს ასწავლიან კურსებზე **უცხო ენებს** (ფრანგულს, გერმანულს და ინგლისურს) და მანქანაზე წერას. თხოვნა მიიღება კურსების კანცელარიაში ყოველ-დღე, დილის 10—12 საათამდე.

(2—1053—1)

მიიღება ხელის მოწერა 20 დეკემბრიდან 20 თებერვლამდე.

დ. უზნაძის წიგნზე

ექსპერიმენტალური პედაგოგიკა

(შესავალი)

წიგნი მოგვითხრობს ბავშვის ფსიხოლოგიის ისტორიას და ახასიათებს ყველა მნიშვნელოვან ფსიხოლოგიურ სფერას: ყურადღებას, ინტერესს, დაღლილობის პრობლემას, მეხსიერებას და სხვ. ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში: „კოლხიდის“ რედაქციაში და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტ. „იმერეთში“. თბილისში: „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში.

ფასი ხელისმომწერთათვის ორი აბაზი.

(20—1655—3)

გაიხსნა

სარატოვის მეჰარზნეთა სარპინკების სავაჭრო სახლის

ე. ე. მაიერის

საქარხნო მაღაზია.

ერევნის მოედანზე **„კავკაზის“** სასტუმროს ქვეშ. (100—1014—4)

ძმათა ა. და ა. მილოვების

სავაჭრო სახლი

აცხადებს, რომ **19 იანვრიდან 26 იანვრამდე** დანიშნულია წელიწადში ერთხელ ჩვეულებად დადებული შვიდ-დღიანი

უდიდესი იაფი ვაჭრობა

აბრეშუმეულისა, მატყლეულისა, ტილოსი, ბამბეულისა საქონლის და **უთვალავ** ინგლისურ მაუდისა, აგრეთვე მზად შეკერილ **კაბებისა,** და **ხალათებისა,**

მეტის-მეტად იაფად

იაფ ვაჭრობის დღეებში, ნაშუადღევის 2½—4 საათამდე სადილობის დროს, მაღაზია დაკეტილი იქნება.

(3.1057.2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფობანი	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქ. ავ. (ქირურგიული).	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606“ წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით.

(წ.—1010—249)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792.

(თ 100—1534—80)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩ. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაძე. ყოველ დღე. შინაგან ავადმ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. [illegible] ყოვ. დღე, ქირ. გარდა. სიფილ. კანის და ვენერ. 11 12 ს.

ბა. პოპოვი ყოვ. დღე, ქირ. გარდა ყურ. ყელ. და ცხვ. სნეულ. 11 1½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევები, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა 606

(წლ. 1090 254)

ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., [illegible] რენტგენის სხივებით. [illegible] ქ. № 20. (წ. 1249 59).

ექიმი კბილის და ღრძილების **[illegible]** იღებს ავადმყოფებს დილით 9-12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე. ელისაბედის ქუჩ. № 151 (დიდუბე). (თ. 1660.21)

ბირჟის ზალა

კვირას, 22 იანვარს, ქართულ სცენის მოყვარეთა დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ისტორიული დრამა

პატარა კახი,

5 მოქ. წერეთლისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი [illegible]; ბ-ნნი: [illegible]. **ანტრაქტებში დაუკრავს მანდოლინისტთა გუნდი.** ადგილ. ფასი **50 კ. 20 კ.** ბილეთები იყიდება ბირჟის კასაში. **დასაწყ. შუადღ. 2 ს.**

(2—1064—1)

გამგენი **ნ. გ. მოხევე** და **თ. გველესიანი.**

ნ. ვ. აბრამიანის

საბუღალტერო კურსებზე,

რადგანაც კომპლექტი შევსებულია, ახალ მსმენელ ქალ-ვაჟთ აღარ მიიღებენ, ხოლო მოსამზადებელ და დამატებით კურსებზე მიღება კვლავ გრძელდება.

(1—192—1)

[illegible]

მშვენიერ ალაგას,

[illegible] **20 დესეტინა** [illegible] **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველნი [illegible] **ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6,** [illegible] **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. [illegible]

(წ. 1147 215)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

[illegible] საღამ. 5—7-მდე. [illegible] № 18, [illegible]

[illegible] **№ 182.** (ფ. 1591 87)

ექიმი [illegible] შინაგან, ბავშვთა, კანისა და [illegible] Mnthiesn [illegible] ელისაბედის ქ. № 39, ტელეფ. № 1067. (100—1117—80).

ექიმი ი. ი. [illegible] [illegible] (თ.—183—6)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი თვალის ავადმყოფ. [illegible] № 67. [illegible]

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვთა ავადმყოფ. [illegible] № 3. [illegible] (25.899.45).

ექიმი კბილის **ნიკო რუხაძე** [illegible] **№ 5.**

ექიმი გ. [illegible] [illegible] **№ 16, ტელ. 693.** (თ—1657—9)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანის და ვენერიულ [illegible]

ექიმი [illegible] [illegible] № 12 ს. (9—34).

ექიმი კბილის **ალ. [illegible]** [illegible]

ექიმი შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვ. [illegible] № 5.

ტფილის, 20 იანვარი

ტოლმაჩევის მოქმედება არჩევნების დროს. ჩვენში კარგად ცნობილი გენერალი ტოლმაჩევი, ოდესის გრადონაჩალნიკი, სამსახურიდან გადადგა, და ოდესის მცხოვრებლებმაც ცოტა თავისუფლად ამოისუნთქეს. თითქმის მთელი თვე იბეჭდებოდა სატახტო გაზეთებში ცნობები ტოლმაჩევის მოღვაწეობის შესახებ. მას დაუტოვებია „მემკვიდრეობა“, რომლის ლიკვიდაციისთვისაც ახალ გრადონაჩალნიკს ბევრი შრომა და დრო დასჭირდება. ტოლმაჩევი ცნობილი იყო როგორც პარტიული ადმინისტრატორი. „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ პარტიას ცხად მფარველობას უწევდა და ცდილობდა ქალაქის დაწესებულებებში ისეთი პირობები შეექმნა, რომ ყველანი, ნებსით თუ უნებლიეთ, „ჭეშმარიტი რუსები ყოფილიყვნენ“. მექანიკური შერჩევა მოსამსახურე პირთა, ფალსიფიკაცია საზოგადოებრივი აზრისა,—აი რაზე ემყარებოდა ტოლმაჩევი თავის მოღვაწეობის დროს.

თავის პირად გავლენის ქვეშ ჰყავდა საქალაქო თვითმმართველობა, უნივერსიტეტი. მეტად ნაზი და იდილიური კავშირი იყო დამყარებული უნივერსიტეტის მემარჯვენე პროფესორებსა და ტოლმაჩევის შორის. ტოლმაჩევის აპეკამ იქამდის შეზღუდა პროფესორთა კორპორაცია, რომ საუკეთესო და სრულიად ზომიერი პროფესორებიც კი იძულებულნი გახდნენ ოდესიდან გაქცეულიყვნენ

ბოლოს ტოლმაჩევის მეგობრებსაც მოსწყინდათ ასეთი აპეკა, უთანხმოებამ მათ შორისაც იფეთქა, და ტოლმაჩევიც იძულებული გახდა სამსახურისთვის თავი დაენებებინა. ამის შემდეგ ბევრი რამ გამოირკვა, ბევრი რამ, უეჭველია, შემდეგშიაც გამოირკვევა. საინტერესოა ამ მხრით ის პასუხი, რომელიც მთავრობის წარმომადგენელმა გასცა სათათბიროს შეკითხვაზე. დღევანდელ დეპეშიდან გაიგებს მკითხველი, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს ზოლოტორევს ფორმალურის მხრით ტოლმაჩევის ერთი განკარგულება, პროფესორებისადმი მიმართული, უკანონოდ მიაჩნია. საუბედუროდ, თითქოს განგებაო, ტელეგრაფს სწორედ ის ადგილი გამოუტოვებია, სადაც ნათქვამი უნდა იყოს, თუ რაში გამოიხატება ეს ფორმალური უკანონობა მინისტრის ამხანაგის აზრით. რახან ფორმალურს მხარეს აქცევს მინისტრის ამხანაგი ყურადღებას, ალბათ არსებითად ტოლმაჩევის განკარგულება კანონიერად მიაჩნია. საბუთად ის მოჰყავს, რომ სენატმა თავისი „ავტორიტეტიულ“ განაჩენით დაადასტურა ტოლმაჩევის განკარგულება. მართლაც რომ საბუთი იყოს ეს მაინც გამოურკვეველი რჩება, ჩაიდინა თუ არა ტოლმაჩევმა უკანონობა, რადგანაც სენატმა **ორი** პროფესორის შესახებ გამოიტანა განაჩენი, ტოლმაჩევის განკარგულება კი **ოთხ** პროფესორს შეეხებოდა. საყურადღებოა მინისტრის ამხანაგის განცხადებაც, თავის დროზე ტოლმაჩევს აგრძნობინეს ეს უკანონობა, მაგრამ სავალდებულო დადგენილება მაინც არ გააუქმეს, რადგანაც, თანახმად სამხედრო წესებისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ნება არა აქვს გენერალ-გუბერნატორთა სავალდებულო დადგენილებანი გააუქმოსო. ამისათვის განსაკუთრებული წესი არსებობსო,

ასეა თუ ისე, მინისტრის ამხანაგსაც, ფორმალურის მხრით მაინც. ტოლმაჩევის მოქმედება უკანონოდ მიაჩნია, მაგრამ ეს უკანონობა, ისევ ფორმალურის მოსაზრებით, განუსჯელი დარჩა ცენტრალურ მთავრობის მხრით.

უფრო საინტერესოა მეორე შეკითხვა, რომელშიაც გამოისახა ერთის მხრით ტოლმაჩევის მოქმედება, მეორის მხრით თვით მთავრობის წარმომადგენელის აზრი. შეკითხვა საარჩენო სამზადისს შეეხება. ამ არჩევნების დროს, შემკითხველთა აზრით, ტოლმაჩევმა ის უკანონობა ჩაიდინა, რომ გაზეთებს აუკრძალა პროგრესიულ კანდიდატის დაცვა, ერთს პარტიას აუკრძალა მოწოდებების გავრცელება, მეორეს კი—ხელი შეუწყო. დაატუსაღა ძმანი იშხნელები, რომელნიც, ვითომც კადეტთა პარტიის მოწოდებას ავრცელებდნენ, და ხელი შეუწყო ჭეშმარიტ რუსთა კავშირის მოწოდების გავრცელებას, ამ მოწოდებით ებრაელებს ურჩევდნენ, არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოთო. რანაირი ხასიათისა იქნებოდა ეს **რჩევა**, ამის გამოცნობა მკითხველთათვის მიგვინდვია.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ზოლოტორევი განმარტავს: ტოლმაჩევს, მართალია, ნება არა ჰქონდა გაზეთებისთვის ამა თუ იმ კანდიდატის დაცვა აეკრძალაო. გაზეთებს შეუძლიანთ თავისუფლად გამოესარჩლნენ ამა თუ იმ კანდიდატს, თუ რა თქმა უნდა, არ არღვევენ საერთო კანონებსაო. ძმათა იშხნელების დატუსაღებაში არავითარ უკანონობას არა ხედავს, რადგანაც ისინი კადეტთა პარტიის სასარგებლოდ ჰქადაგებდნენო. არც ჭეშმარიტ რუსთა მოწოდების გავრცელებაში ხედავს მინისტრის ამხანაგი უკანონობას, რადგანაც... ამ მოწოდებამ ებრაელებზე ვერავითარი გავლენა ვერ იქონიაო. შესაძლებელია ეს ასეც იყოს, მაგრამ ამ ჟამად შემკითხველებს უკანონოდ მიაჩნიათ არა ის, თუ რამდენად მოახდინა გავლენა მოწოდებამ, არამედ თვით **სურვილი** გავლენის მოხდენისა. არჩევნების დროს ბევრნაირი პოლიტიკური პარტია და საზოგადოებრივი ჯგუფი იბრძვის. ადმინისტრაცია ვალდებულია მხოლოდ არჩევნების გარეგნულ წეს-რიგს ადევნოს თვალ-ყური და არა შეზღუდოს ესა თუ ის საარჩევნო ჯგუფი. ადმინისტრაციას ევალება სრული ნეიტრალიტეტის დაცვა. ამ ნეიტრალიტეტის დარღვევა უკანონობაა. მინისტრის ამხანაგი განმარტავს, ძმანი იშხნელები კადეტთა პარტიის სასარგებლოდ ჰქადაგებდნენო. ვინც იცნობს არჩევნების ტეხნიკას საზოგადოდ და ოდესისას—კერძოდ, დარწმუნდება, რომ ასეთი აგიტაცია შეუძლებელი იქნებოდა. აგიტაცია სწარმოებდა განსაზღვრულ პიროვნების, სახელდობრ, ბროდსკის სასარგებლოდ. ვინ იყო, რომელ პოლიტიკურ პარტიას ეკუთვნოდა იგი, ამის შესახებ არც გაზეთებში იბეჭდებოდა რამე და არც მოწოდებაში. ცხადი იყო მხოლოდ ის, რომ იგი პროგრესიული კანდიდატი იყო. პროგრესისტობა კიდევ პარტიის წევრობას არა ნიშნავს. თუ მიუხედავად ამისა, ადმინისტრაცია, ტოლმაჩევის მეთაურობით, ზღუდავდა ბროდსკის მომხრეებს, უკანონოდ იქცევოდა, რადგანაც პირადი შეხედულება და სიმპატია ადმინისტრატორისა დევნის საბუდათ ჰხდებოდა.

დასასრულ, შემკითხველებს უკანონოდ მიაჩნიათ არა ჭეშმარიტ რუსთა კავშირის მოწოდება, არამედ ის, რომ ადმინისტრაცია ამ მოწოდების გავრცელებას ხელს უწყობდა მაშინ, როდესაც ბროდსკის მომხრეებს ზღუდავდა. ეს შებორკვაა ამომრჩევლის თავისუფალ სინიდისისა და რწმენისა, და სწორედ ამასაც აღნიშნავენ შეკითხვის ავტორნი.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

მკითხველებმა დეპეშებიდან უკვე იციან, რომ გერმანიის რეიხსტაგის არჩევნებში გამარჯვება სოციალ-დემოკრატებსა ჰხვდათ. როგორც უკვე გამოირკვა, გერმანიის სოციალ-დემოკრატიას უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში ერთი მილიონი ხმა შეუძენია, ხოლო თავისუფალ მოაზრეთ—322,616 ხმა; თავისუფალ კონსერვატორებს დაუკარგავთ 106,776 ხმა, ანტისემიტურ ფრაქციებს—108,526 და ცენტრს—167,753 ხმა.

არჩევნების შედეგები ასეთია: კონსერვატორებს 43 კანდიდატი გაუყვანიათ (დაუკარგავთ—16), ცენტრს 93 (დაუკარგავს—7), იმპერიის პარტიას—13 (დაუკ.—11); ანტისემიტურ სამეურნეო კავშირს 13 (დაუკ.—5); პოლონელებს 19 (დაუკ.—1), სოციალ-დემოკრატებს—109 (შეუძენიათ 66); თავისუფალ მოაზრეთ 42 (დაუ.—7) ნაციონალ-ლიბერალებს 46 (დაუკ.—9), სხვა წვრილ ფრაქციებს—18.

სულ რეიხსტაგში 397 დეპუტატია. უმრავლესობისათვის საჭიროა 199 და თუ ნაციონალურ-ლიბერალებმა მემარჯვენეებისკენ არ გადიხარეს, უმრავლესობას ოპოზიციური პარტიები შეადგენენ. ამასთანავე რეიხსტაგში უძლიერეს პარტიად სოციალ-დემოკრატების ფრაქცია იქნება და, მაშასადამე, რეიხსტაგის საქმეებში გადამწყვეტი ხმაც მათ ექმნებათ. ეს კი ახალი ხანაა გერმანიის რეიხსტაგის განვითარებაში, რომელიც მეტად რთულ პოლიტიკურ სტრუქტურას ჰქმნის გერმანის საკანონმდებლო ცხოვრებაში. უეჭველია, გერმანიის კანცლერი ბეტმან გოლვეგი იძულებული იქნება კონსერვატული მიმართულება ძალზე შეასუსტოს, ან და ეხლანდელი რეიხსტაგი დაითხოვოს.

მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ხალხი კვლავ ეხლანდელ დეპუტატებს აირჩევს.

გერმანიის ასეთ მდგომარეობაზე აი რასა სწერს გაზეთი „უტრო როსია“:

> ევროპის მშვიდობიანობა შესაძლებელია დაირღვეს იმ შემთხვევაში, თუ ვილჰელმ II არ დაემორჩილება ხალხის სურვილს და იძულებული იქნება ეხლანდელი საიმპერიო პარლამენტი დაითხოვოს, რათა ხელოვნურის საშუალებით გააღვიძოს პატრიოტული გრძნობა გერმანელთა შორისო.

სხვათა შორის, იმასაც ეხებიან გაზეთები, თუ რა გავლენა ექნება გერმანიის რეიხსტაგში მემარცხენეთა გამარჯვებას რუსეთის შინაურ ცხოვრებაზე.

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშები).

კაპუსტინი თავმჯდომარეობს.

გამოაცხადეს განსახილველ საგანთა სია, რომელთა შორის ქალაქ ხოლმსის საგუბერნიო ქალაქად გადაქცევისა და გადასახლებულთათვის დასახმარებლად ფულის მიცემის წესის ცვლილებათა პროექტებია.

ისევ ხოლმშჩინის გამოყოფის თაობაზე მსჯელობენ.

სვეჟინსკიმ ორშაბათს დაწყებული სიტყვა დაათავა. კანონ-პროექტი დიდ ვნებას მოუტანს პოლონეთს და ვერც რუსეთს ასარგებლებს რასმეო.

ლუჩიცკი. საჭიროა პოლონეთში მცხოვრებ მალოროსების გამოყოფა, მაგრამ არა ასეთის ზომებით. მთავრობამ აქამდე ვერ მოახერხა რომ ხალხს თავისი სამშობლო ენა ეხმარა ყველგან, სკოლები დაეარსებინა და სხ. მე ვერ მივიღებ მონაწილეობას კანონ-პროექტის თაობაზე მსჯელობაში და მის მუხლობრივ განხილვის წინააღმდეგიცა ვარ.

ვარჩევსკიმ ორს საათს ილაპარაკა. მან აღნიშნა კანონ-პროექტში მოყვანილ ზოგიერთ ციტატების სიყალბე და დამახინჯება. ვერც ერთი ადამიანი, ვინც კი აღიარებს 17 ოქტომბრის პრინციპებს, ამ პროექტს მხარს ვერ დაუჭერსო.

ტიმოშკინს უკვირს, როგორ შეიძლება პოლონეთის სამეფოს დანაწილებაზე ლაპარაკის ჩამოგდება, როდესაც იგი დიდი ხანია აღარ არსებობსო. ხოლმშჩინის გამოყოფის თაობაზე რაღა ლაპარაკი და მსჯელობაა საჭიროო.

ლვოვი პირველი საჭიროდ აღიარებს ხოლმშჩინაში მობინადრე რუსების დახმარებას, მაგრამ მთავრობის კანონ-პროექტი კი უვარგისად მიაჩნია. არ შეიძლება ცოცხალი ადამიანი ვისმე ეკუთვნოდეს, ხოლმსელებს კი ხან რუსეთი ეპატრონება, ხან პოლონელებიო.

ჩხეიძე. მთავრობა ყოველთვის სასტიკად სდევნიდა ყოველგვარ მალოროსთა საეროვო თვითცნობიერების საქმეს და იქამდისაც კი მივიდა, რომ პატარა მოწაფეებს მალოროსიულ სახარების კითხვისათვის სკოლიდან გამორიცხვით ემუქრებოდნენო. ასე ეპყრობიან მალოროსებსა და, ნეტა რა უნდა უშველონ ხოლმშჩინის გამოყოფით იქ მცხოვრებ მალოროსებს? ეროვნებათა შუღლს პოლონეთის ავტონომია მოსპობს, მაგრამ ეს მთლად რუსეთის განთავისუფლებასთან არის დაკავშირებული. ჩვენ უნდა ვეცადოთ განთავისუფლებისთვის ნიადაგის მომზადებას და იგი ყველა ერს თავისუფლებას მიანიჭებს (მემარცხენეთა ტაში).

მასლენიკოვი წინააღმდეგია კანონ-პროექტისა. ნება მიეცით ხოლმსელებს დარჩნენ იმად, რანიც არიან, ამით უფრო ხელს შეუწყობთ მათ გაპოლონელებასაო.

ქსენძმა მაცკევიჩმა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა ის დებულებანი, ვითომც მართლ-მადიდებელთ პოლონელები სჩაგრავდნენ.

საღამოს სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობს.

კომისიას გადასცეს სამხედრო მინისტრის განმარტება ურალის კაზაკთა საკუთრების დარღვევის უფლებისა.

თ-დმა კურაკინმა კომისიის სახელით მოხსენება წაიკითხა ტულის გუბერნატორის უკანონო მოქმედების თაობაზე შინაგან საქმეთა მინისტრისადმი შეკითხვის გამო. შეკითხვა მიიღეს.

ხვოშჩინსკიმ კომისიის სახელით მოხსენება წაიკითხა ზლობნიცკისა და კვიატოვსკის ტომსკის ქარხანაში სამხედრო წიგნების მიღების საქმის გამო სამხედრო მინისტრისადმი შეტანილ შეკითხვის თაობაზე. შეკითხვა უკამათოდ მიიღეს.

შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე ზოლოტარევი განმარტებას იძლევა ოდესის გუბერნატორის უკანონო მოქმედების გამო შეტანილ შეკითხვის თაობაზე, იგი შეეხება გუბერნატორის მიერ ნოვოროსიის უნივერსიტეტის პროფესორებისთვს მოვალეობის ასრულებაში ხელის შეშლას. მინისტრის თანაშემწე აღნიშნავს, რომ თავის დროზე გუბერნატორს განვუმარტეთ მისი განკარგულების უკანონობაო. რადგანაც სამხედრო წესები იყო გამოცხადებული, მინისტრს მხოლოდ განმარტება შეეძლო და გუბერნატორის განკარგულების [illegible] ნება კი არა ჰქონდაო. სათათბირომ გადასწყვიტა [illegible] მსჯელობა მინისტრის განმარტების თაობაზე.

შემდეგ მოსასმენია განმარტება შინაგან საქმეთა მინისტრისა იმ შეკითხვის გამო, რომელიც ეხება ოდესის ქალაქის უფროსის ტოლმაჩევის უკანონობას, ქალაქის წევრთა და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევნების დროს ჩადენილს.

შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე **ზოლატრევი.**

როდესაც ტოლმაჩევმა გაზეთებს აუკრძალა სათათბიროს პროგრესისტ კანდიდატთა გვარების ბეჭდვა, შინაგან საქმეთა მინისტრმა აუხსნა უკანონობა კანონის ამნაირ განმარტებისაო. რაც შეეხება ძმათა იშხნელების დაპატიმრებას და, მთავარ ანგელოს მიხეილის კავშირის“ მოწოდების გავრცელებას, აი საქმე როგორ იყო: იშხნელები (იშხნელები?) დააპატიმრეს, რადგანაც ისინი კადეტთა პარტიის სასარგებლოდ ჰქადაგობდნენ. ისინი მისი ვინაობის გამორკვევისთანავე გაანთავისუფლეს. „მთავარ ანგელოზ მიხეილ კავშირის“ მოწოდება ებრაელებს ურჩევდა, არჩევნებში მონაწილეობას ნუ მიიღებთო, მაგრამ იგი არ არღვევდა არც ერთ სავალდებულო დადგენილებას და ბოროტებისა არა ეცხო რა.

სათათბირომ გადასწყვიტა ამის თაობაზე მსჯელობა იქონიოს მომავალ ოთხშაბათს,

შემდეგი სხდომა მოხდება პარასკევს.

სახელმწიფო საბჭო

დეპეშა

აკიმოვი თავმჯდომარეობს. მინისტრების ლოჟაში სხედან **ხარიტონოვი** და **შჩეგლოვიტოვი**. იხილავენ საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიის მოხსენებას ფინლანდიის მოქალაქეთა რუსეთის სხვა ქვეშევრდომებთან უფლებრივ გათანასწორების კანონ-პროექტისას.

მომხსენებელი **მანუხინი** წინადადებას იძლევა კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვისას და მის მიღებისას სათათბიროს რედაქციით, იმაზე მეტი სამწუხარო მოვლენის წარმოდგენა არ შეიძლება, როდესაც ფინლანდიაშა რუსეთის ქვეშევრდომნი, არა-ფინლანდიელები, ნაკლების უფლებებით სარგებლობენ, ვიდრე ადგილობრივი მოქალაქენიო.

გრიმი. წინააღმდეგია კანონ-პროექტისა. კანონ-პროექტში ჩამატებულია დადგენილებანი, რომელნიც 1910 წლის კანონიდან არ გამომდინარეობს და ადგილობრივ სა-

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

(გაგრძელება*)

ცხოვრების სინამდვილის და წვრილმანი მოვლენის დაკვირვებამ ავტორს შეატანინა გრ. ხანძთელის ცხოვრებაში მრავალი მხარე თანამედროვე ქართველთა მონასტრის გარეშე ცხოვრებისა, რადგანაც მონაზონობას ეტანებოდა ყოველი წოდება. იმ დროინდელ ქართველთა ეკლესიაში თანასწორ მოქალაქეებად თავს იყრიდნენ ფეოდალებრივი საქართველოს ყველა წევრები ბატონიშვილები, მთავრი-თავადიშვილები, აზნაურები და გლეხ-კაცები, რაინდები, ძხედრები, მიწის მუშები და მწყემსები. საჩინო მონაზვნები, რომელნიც უმაღლეს ხარისხამდე პატივმოსილ იყვნენ, ყველანი როდი ყოფილან დიდკაცობიდან გამოსულნი. დიდი მეუდაბნოე მიქელ, როგორც სჩანს, შავშეთით უბრალო ნორგიალელი გლეხი ყოფილა; ანჩელი ეპისკოპოსი ზაქარია სიჭაბუკესა „**მწყემსი იყო კრავთაჲ კლარჯეთისა ქუეყანასა შინა**“. განთქმული ხანძთელი მამა ბასილ შვილი იყო მოახლისა და „**სიჭაბუკესა მამისა გრიგოლის სახედარსა ხედევდა**“. (პარაგ. 11).

ცხოვრებაში შეჭრილა ქართველთ ფეოდალებრივი ცხოვრების თავისებურად შემუშავებული სარომანო ელემენტი, რომელიც უფრო გვიან განვითარდა იმ ფორმებსა და ძეგლებში, რასაც დაესესხნენ სპარსულ რომანტიკას.

ამ სარომანო ნაწილში გიორგი მერჩულს ეტყობა განსხვავება ორგვარი ქალის სიყვარულისა, ერთთა წუთიერი, ნაყოფი კაცის მანქანებისა, ხოლო მეორე სადიდხნო, მაგრამ უმაღლესი რიგის სიყვარულსაც უარყოფით ეპყრობა, როგორც ეშმაკის საქმესა. ამ გვარად ქართული ლიტერატურის ისტორიკოსს **ცხოვრება** აძლევს ახალ მასალას დასაფასებლად იმ გრძნობის საგნის ევოლუციისა, რომლის წყალობით საქართველოში X—XII საუკუნეში აღორძინდა განსაკუთრებული კულტი გაღვთაებრიება ქალის სიყვარულის და თვით ქალისა. ეს მოვლენა ერთი და იგივეა, რაც dolce stile დასავლეთისა, მაგრამ დამოუკიდებელი ევროპულ რომელსამე გავლენასე (პარაგრ. 12).

აგიოგრაფის მიზანი, რასაკვირველია, საეკლესიო, ანუ უფრო სწორედ სამონასტრო სამოძღვროა: ბურცად გვიხატავს გრიგოლ ხანძთელის ზნეობრივ სიმკაცრეს და მის კეთილმყოფელ გავლენას თავის ნება ფეოდალების აშვებულ ზნე-ჩვეულებაზე. მაგრამ თვით ეპიზოდების განმარტების დროს ავტორს უეჭველად ეტყობა მისწრაფება სუჟეტის შესამუშავებლად დრამატიულად. სარომანო სუჟეტების სიტყვა-კაზმულად შემუშავების ცდის დროს ემჩნევა იდიანი ტიპების გამოხატულებაც. გიორგი მერჩულს, **ცხოვრების** ავტორს, მოჰყავს ორი სარომანო დრამა კლარჯეთის ბაგრატუნიანთა საოჯახო ცხოვრებითგან.

აი თვით ამბავიც ხელმწიფის აშოტ კურაპალატისა.

„**ხოლო ჟამთა** ამის წმინდისათა კელმწიფემან აშოტ **კურაპალატმან** დაიპყრნა მრავალნი ქუეყანანი და აღაშენა **ციხჱ არ ტანუჯისაჲ** საცხოვრებლად დედუფლისა მეუღლისა თჳსისა და მას შინა კეთილად ცხოვნდებოდა მრავალთა წელიწადთა: ხოლო აცთუნა მტერმან კელმწიფჱ იგი. და მოიყვანა მან დედა-კაცი სიძვისაჲ ციხესა მას შინა. რომლისთანა იმრუშებდა. რამე თუ ეშმაკი ტრფიალებისაჲ ფრიად აზრზენდა. რომელსა პირველ არა აქუნდა ეგე ვითარი ჩვეულებაჲ არამედ ძლეულ იქმნა ბოროტითა მით ცოდვითა: და ვითარცა ესმა ნეტარსა გრიგოლს საქმჱ იგი სულისა განმხრწნელი. შეწუხნა ფრიად და აუწყა წმიდასა გრიგოლს. დიდსა მას მოხუცებულსა. რომელი მკჳდრ იყო ეკლესიათა. რამე თუ იყო იგი სასწაულთა მოქმედ და პატივცემულ ღმერთისა და კაცთაგან. და განზრახვითა მისითა ამხილა პირისპირ კელმწიფესა მას: ხოლო მან აღუთქუა ცოდვისა მის განტევებაჲ და დედა-კაცისა მის წარგზავნაჲ. ვინაჲცა მოეყვანა იგი. და ვერ დაამტკიცა თჳსი ბრძანებაჲ. რამე თუ დაემონა გულის თქუმასა.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ პოვა ჟამი მარჯუჱ ოდესცა კურაპალატი შორს იყო. არ ტანუჯსა დღესა ერთსა შატბერდით წარვიდა და მიიწია მიმწუხრი ძირსა მის ციხისასა. და კაცი მიუვლინა დედაკაცსა ჭამადისა თხოვნად და მუნ დადგომისა მიზეზი შეუთუალა ხოლო მან სიხარულითა დიდითა განიხარა და მრავალფერი სანოვაგჱ წარსცა წმიდისა მისთჳს და მოწაფეთა მისთა: და ვითარცა განთენა. კუალად მიუვლინა კაცი რაჲ მივიდეს ხილვად მისსა: მაშინ უფროჲსად განმხიარულებული მსწრაფლ მოვიდა წმიდისა მის ორთა თანა მკევალთა თჳსთა. რაჲთამცა ღირს იქმნა ჯუარსა ნეტარისა მის კაცისასა:.

ხოლო მან არა დასწერა ჯუარი. არამედ უბრძანა განშორებულად დაჯდომაჲ და მოწაფენი კიდერე განდგეს წამის ყოფითა მოძღურისა თჳსისათა და ეგრჱთვე მსახურნი იგი დედანი. რამეთუ წმიდისა მის შიში ყოველთა ზედა მიფენილ იყო: მაშინ ჰრქუა მას ნეტარმან გრიგოლ. „ჵ საწყალობელო. რაჲსათჳს შორის ცოლ-ქმართა შთაჰრილ ხარ წარსაწყმედელად შენდა საუკუნოდ ბოროტითა მით ცოდვითა რომლითა დამონებულ ხარ ეშმაკისადა და ცუდითა რაჲთმე მიზეზითა საფრკე ქმნულ ხარ დიდისა კელმწიფისა და“.

ხოლო მან ცრემლით ჰრქუა. „წმიდაო ღმრთისაო. მე თავსა ჩემსა ზედა ვერ თავისუფალ ვარ. ვინაჲთგან გარდარეული სიყვარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა, და ან არაჲ უწყი თუ რაჲ ვყო. რამეთუ ბრძანებამან სიტყუათა შენთამან შემაძრწუნა ფრიად: ხოლო წმიდამან მან ჰრქუა. შვილო. იქმენ სრულიად მორჩილ სიტყუათა ჩემ. გლახაკისათა. და მე თავს მდებ გექმნე ქრისტეს მიმართ. რაჲთა თავადმან ყოველნი ბრალნი შენნი შეგინდვნეს:“ და მან ჰრქუა. „წმიდაო მამაო. კელთა შენთა ვარ. უმჯობჱსი სულისა ჩემისაჲ იზრუნე“: მაშინღა ჯუარი დასწერა და აკურთხა ლოცვითა და შეჰკურა მადლითა და მისცა თჳსთა კამლთა საბელი სარტყლად შეირტყას. და მან ყო ეგრჱთ:.

და წმიდამან მან ჰრქუა. „შვილო ჩემო. დღეს იქმნა ცხორებაჲ სულისა შენისაჲ. რამეთუ სანატრელისა დედისა ფებრონიაჲს წინაშე მიგიყვანებ შენ“: და მან განიხარა ფრიად. ხოლო ნეტარმან გრიგოლ უბრძანა მკევალთა მათ მისთა წარხვაჲ ციხედვე და დედაკაცსა მას ჰრქუა: „შვილო ჩემო. წარემართე და ვიდოდე წინაშე ჩუენსა“. და ესრჱთ მოიყვანა იგი მერეს. რამეთუ პირველვე განზრახვაჲ ნეტარისა დედისაჲ თანა იყო. და შეჱვედრა იგი მას და ჰრქუა. „იღუაწე ესჱ. ჯერისაებრ იღუაწე. და რაჟამს ძიება ყოს კურაპალატმან. რამეთუ ჰხედავ გულსა ამისსა შემუსვილსა“: ხოლო მან თქუა. „ქრისტემან კეთილად იზრუნოს მკევლისა თჳსისათჳს. რომელიცა პოვა შენ მიერ. ღირსო მამაო“:.

და მრავალ ჟამ მარტოდ უბნობდეს ნეტარნი ესჱ. და ესრჱთ იყო ჩუეულებაჲცა მის ჟამისა წინამძღუართა მამათაჲ. რამეთუ თჳნიერ დედისა ფებრონიაჲს განზრახვისა საქმჱ არაჲ კელყვიან: ხოლო დათაგანი ვინმე მახლობელად მათსა წარჰვლიდა და ესმა ერთი სიტყუჲ. ხოლო სხუასა ვერღარა იკადრა სმენად: რამეთუ წმიდამან გრიგოლ ჰრქუა ნეტარსა ფებრონიას. ვითარმედ „რაჲ გრქუა შენ ანგელოზმან“. რამეთუ ღმერთი იყო ყოვლადვე მათ შორის:.

ხოლო რაჟამს მიიწია კურაპლატი ციხედ. იკითხა ხოლო დედაკაცი იგი და ვითარ არა პოვა. ფრიად შეიურვა. გულის ხმა ყო რაჲ ყოველი იგი ყოფილი საქმჱ და რამეთუ არა ღონიდა რაჲთ მე კაცობრივითა მახუთაჲთა იყო ტრფიალ მისა მიმართ კელმწიფე იგი. არამედ ეშმაკისა მანქანებითა. ესოდენ ძლეულ იყო, რომელ თავმოთნეობაჲ დაავიწყდა და მსწრაფლ ხოლო მოვიდა მერეს: ხოლო ნეტარმან ფებრონია დამალა დედაკაცი იგი: და ვითარ ილოცა კურაპალატმან ეკლესიასა წმიდისა ღმრთის მშობლისასა და მიეღო ლოცვაჲ დედისა ფებრონიაჲსი. მაშინ იწყო სიტყუად, „უწყი მეა დედაო. რაჲსა თჳს მოვედ აწ“: ხოლო მან ჰრქუა. „უფალმან იცის. რაჲსათჳს ჰბრძანე აქა“: და მან ჰრქუა „ამის მიზეზისათჳს იქმნა მოსლვაჲ ჩემი. რამეთუ სახლისა ჩუენისა მეჭურჭლე ქალი იყო. და ყოველი მინაგები ჩუენი კელთა მისთა იყო. და მამასა გრიგოლს აქა წარმოუყვანებია. და ფრიადი დაგუაკლდა საფარეთა ჩუენთაგანი. ან უბრძანე. რომელ ერთხელ ციხედ მოვიდეს და ყოველი მოგკთუალოს და კუალად თქუენდავე მოვიდეს. ვითარცა უნდეს“:.

ხოლო ფებრონია ჰრქუა მას მკუეთრ. მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა კაცთა თანა. რომელნი იქმან უშჯულოებასა. ესჱ რაჲ ესმა კურაპალატსა.სირცხვლეულ იქმნა მართლმხილებისა მისგან კდემული და მყოფარ ჟამ დადუმნა ვითარცა ძლეული. რამეთუ კორციელად ძლურსა კელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 503.

სა მართლის დაწესებულებათა სრულს უნდობლობას შეიცავსო. აგრეთვე რუსული ენის ხმარების მუხლები კანონ-პროექტში სათათბიროს მიერ თვისი თაოსნობის წესით იქნა შეტანილი და არა ხელმწიფის თაოსნობითაო, რითაც 1910 წლის კანონის განხორციელების წესი შეიცვალაო.

გრიმის სიტყვით დასრულდა საზოგადო კამათი. დაიწყეს მუხლობრივი განხილვა.

შემოაქვთ ყოველი მუხლის შესახებ შესწორებანი. სხვათაშორის პირველი მუხლის შესახებ **კოვალევსკი** აცხადებს: ყოველთვის ვაღიარებდი, რომ რაკი რუსეთმა ფინლანდია შემოიერთა რუსები უფლებრივად გაუთანასწორდნენ შვედელებსა და ფინებს, ამისათვის არავითარი ეჭვი არა მაქვს, რომ თანასწორობის საკითხი თავიდანვე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ აქ თავდება მისი თანხმობა კანონ-პროექტთან: თანასწორობის პრინციპი მეტად უხერხულადაა გამოხატული და დეკლარაციის ხასიათი აქვს. აქედან კი შესაძლებელია ზოგიერთ ერთგულ მოხელეების მიერ ბოროტმოქმედებათა ჩადენაო.

კოვალევსკის **მანუხინმა და იუსტიციის მინისტრმა** გასცეს პასუხი.

იუსტიციის **მინისტერმა** სთქვა: ასი წელიწადია ველით რუსების ფინლანდიელებთან გათანასწორებას. რუსების მოთმინების ფიალაც აივსო. დროა პრინციპიდან საქმეზე გადვიდეთ. დედამიწის ზურგზე არა არსებობს ასეთი დებულება, როგორც ჩვენში, სადაც რუსები თანასწორნი არ არიან უფლებებში ფინლანდიელებთანო. მინისტრი უარჰყოფს კოვალევსკის აზრს, ვითომც კანონ-პროექტს დეკლარაციის ხასიათი ჰქონდეს და საკანონმდებლო წესის მხრივ იდეალურად შედგენილად მიაჩნია. კანონ-პროექტში ყოველივე ნათლად არის აღნიშნული.

ყველა შესწორებანი უარჰყვეს. კანონ-პროექტი სათათბიროს რედაქციით მიიღეს. კამათი შვიდ საათამდე გაგრძელდა.

შემდეგი სხდომა 25 იანვარს მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგნენ** 18 იანვარს: ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დ გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი და ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დ პ. ი. თუმანიშვილი.

✦ **უსახლკარო ბავშვთათვის მზრუნველმა საზოგადოებამ** ტფილისის გუბერნიის დაბა-სოფლებში თავისი ნამდვილი წევრები ი. ლ. ტიში და მ. მ. ვინოგრადოვი გაჰგზავნა საზოგადოების გამოცემულ წიგნის „რუსეთის ხალხის ომი ნაპოლეონთან“ გასავრცელებლად. შემოსულ ფულით დაიფარება ის ხარჯი, რომელიც გადადებულია სუსტ ბავშვთათვის სანატორიის ასაშენებლად.

✦ ქალაქის მოურავი ამ დღეებში ქალაქის საბჭოს კომისიების **შეერთებულ კრებას** იწვევს მტკვრის მარჯვენა ტოტის საკითხის გადასაწყვეტად. როგორც მკითხველებმა იციან, ეს ტოტი (კუკიაში) სრულიად ამომშრალია და ყარს. განზრახულია, ტოტი სრულიად ამოავსონ და იქ ბაღი გააშენონ.

✦ 23 იანვარს სახალხო სახლში სამუსიკო საზოგადოების სასარგებლოდ **ოპერას** „სევილიელ დალაქს“ დასდგამენ.

✦ **მიწის შეფასება.** ფინანსთა სამინისტროს მინისტრთა საბჭოში შეუტანია საკითხი იმისა, რომ ამიერ-კავკასიასა და თერგისა და ყუბანის ოლქებში მუშაობა დაიწყოს მიწების შესაფასებლად.

✦ **კახეთის მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“** ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობას 100,000 მანეთსა სთხოვს სესხად (საზოგადოებას წინადაც მიეცა სესხად 50,000 მან.). ამ შუამდგომლობის განსახილველად და საქმის ნამდვილ ვითარების გამოსარკვევად არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლნი: თავადნი—პ. ი. თუმანიშვილი, მ. ა. ანდრონიკაშვილი და მ. ზ. ჭავჭავაძე და ამათ გარდა თ-დნი: დ. ე. ჩოლაყაშვილი და ი. გ. ბარათაშვილი.

✦ **დაკარგულნი მოსწავლენი.** ტფილისში უკვალოდ დაიკარგნენ ვაჟთა პირველ გიმნაზიის უფროს განყოფილების მოსწავლე ნიკოლოზ იულიანეს ძე ერისთავი და ქართულ გიმნაზიის მეორე კლასის მოსწავლე ალექსანდრე გრიგოლის ძე ტყეშელაშვილი. პოლიცმეისტერმა უბნის ბოქაულებსა და მაძებარ პოლიციას დაავალა, სასტიკი ზომები მიიღონ მათ მოსაძებნად.

✦ **ქალაქი და ტრამვაი.** ტფ. ქალაქის გამგეობას სასამართლოში საჩივარი შეაქვს ტრამვაის დირექციაზე. სადავო საგანი არის უფასო ბილეთები, რომელთაც დირექცია ყოველწლივ აძლევს ქალაქს, ხელშეკრულობის თანახმად. ტრამვაის დირექცია სულ 200 ბილეთს აძლევს. აქედან 26 ბილეთით სარგებლობა კვირა-უქმეებში არ შეიძლება, ხოლო 25 ბილეთით ვაგონში მხოლოდ დგომა შეიძლება. დანარჩენი ბილეთები სრულ უფლებიანნი არიან. ქალაქი ამ ჟამად ახალ ხელშეკრულებას ემყარება და თხოულობს, ყველა ბილეთი (200) სრულ უფლებიანი იყოს, ხოლო დირექცია წინააღმდეგია და სწორედ ამაზე ასტყდა დავაცა.

✦ **კავკასიის სააბრეშუმო სადგურმა** ამ დღეებში ოსმალეთიდან დიდძალი აბრეშუმის პარკი მიიღო შესამოწმებლად. პარკი მიიღო აგრეთვე ჩრდილო რუსეთიდანაც.

✦ **უბედურება ჰაეროპლანზე.** აგერ რამდენიმე ხანია, რაც საკუთარ საფრენ მანქანის გამოგონებაზე მუშაობდა ფრენის მოყვარე გ. ს. ტერევენკო, რომელმაც ჰაეროპლანი უკვე დაამზადა და 18 იანვარ სალ. 3 საათზე და 4 წ. საბურთალოზე გაფრენა სცადა. ფრენაზე დასასწრებლად მოწვეულ იყო ნამესტნიკის ადიუტანტი თავ. ჭავჭავაძე. ტერევენკომ ჰაეროპლანი გაამზადა და რვა საჟენის სიმაღლეზე აფრინდა. თამამს მფრინავს ამ დროს ბედმა უმტყუნა, ქარი ამოვარდა და მსუბუქი და შინაურულად მოწყობილი ჰაეროპლანი მარცხნივ დაიზნიქა, შემდეგ ძირს სწრაფად ჩამოვარდა და ერთიანად დაიმტვრა. მფრინავი ისე ძლიერად დაეცა ძირს, რომ ფეხი და ხელი მოიტეხა, გაიტეხა შუბლიც. დაუყოვნებლივ გამოწვეულ იქმნა ჩქარი მაშველი ეტლი და დაშავებული ტერევენკო მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

✦ **ხორცის ნიხრი.** ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიამ დაადგინა, ძროხისა და ცხვრის ხორცის ნიხრს გირვანქაზე ერთი კაპეიკი მოუმატოს.

✦ **თავის მოკვლის განზრახვით** 17 იანვარს კარბოლის სიმჟავე დალია ქუთაისის მოქალაქის შვილმა ტოსია იაკობის ძე შმულევიჩმა, რომელიც სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ **ყალბის ფულის მჭრელნი.** 18 იანვარს ტფილისში შეიპყრეს ივანე გრიგოლის ძე შმაკოვი და ივანე დიმიტრის ძე ანტიპოვი, რომელთაც ყალბის ვერცხლის მანეთიანების მზადება და ტრამვაის ვაგონებსა და დუქნებში გასაღება ბრალდებათ. შეპყრობილ ანტიპოვის ძმის სერგო დიმიტრის ძე ანტიპოვის სახლში ფულის დასამზადებელი მანქანები და ერთი ყალბი მანეთიანი იპოვეს. სერგო ანტიპოვი სხვა საქმეზე ამ ჟამად ციხეში ზის.

✦ **შეიპყრეს** ტფ. მოქალაქე გიორგი დავითის ძე გოგნიძე და სიღნაღის მაზრის სოფელ ბოდბეს მცხოვრები დავით ივანეს ძე ბიბილაშვილი. მათ ბრალდებათ 18 იანვარს ნიკოლოზ ოტტოს ძე ფონბროვერნის ბინის (ნადიროვისეულ მამულში) გაქურდვა, საიდანაც წაღებულ იქმნა ფული და სხვა-და-სხვა ნივთი.

✦ **უსასყიდლოდ დახმარება.** ინჟენერი ა. გ. ბილანაშვილი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ იგი კისრულობს ქართულ სოფლებისთვის სასმელ და სარწყავ წყლის არხების გასაყვანად ხარჯთ-აღრიცხვისა და პროექტების უსასყიდლოდ შედგენას. დაწვრილებით ცნობებისთვის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ტფილისი, ახალციხის მისახვევი, 9. ინჟენერს ა. გ. ბილანაშვილის.

✦ ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოებამ გუშინ, 19 იანვარს **დაუგზავნა** იანვრის ხვედრი ფული ძმათა ზუბალაშვილების სახელობაზე არსებულ სასტიპენდიო ფონდის **ყველა ძველ სტიპენდიანტებს.**

✦ ტფილისში უკვალოდ დაიკარგა გორის მაზრის სოფ. ძეგვიდან ჩამოსული გიგა როსტიაშვილი.

✦ 7 იანვარს შეიპყრეს ზენონ ფანცის ძე სიდოროვიჩი, რომელიც სიმთვრალის დროს რევოლვერით მოკვლას უპირებდა არუთინა ისაის ძე კარაკოზოვს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **საზოგადო კლუბის წევრთა წლიური კრება** 21 იანვარს მოხდება. კრება, სხვათა შორის, კლუბის წარსულ წლის მოქმედების ანგარიშს განიხილავს. 1912 წლის განმავლობაში კლუბში სულ 26 რეფერატი წაუკითხავთ. ამათში 9 რეფერატი სალიტერატურო თემებზე ყოფილა, 13—საზოგადოებრივ კითხვებზე და 5—სამეცნიერო თემებზე. რეფერატები წაუკითხავთ: თავ. გ. მ. თუმანოვს, მ. ნ. ვესელოვზოროვს, მ. ნ. ანდრეევს, ა. მ. ასხატოვისას, ნ. ა. პავლოვს, თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილს, ლ. კ. ტარასევიჩს, ა. ს. ბაბოვს, ნ. ე. ერმოლოევს, ა. ბ. მდივანს, ნ. ნ. გაბინოვისას, ა. ი. იოანისიანს, ა. ა. ქალანთარს. ტ. კ. მარქარიანს, ა. ტ. სნარსკის, დ. გ. გებშტეინს, მ. ა. ჯაბარს. ი. დ. გულისაშვილს, ნ. ი. ლებედევს, მ. ა. გედევანიშვილს და პ. ს. კოგანსა. წარსულ წლის განმავლობაში გამართულა აგრეთვე 9 წარმოდგენა.

✦ **აბასთუმნის სანატორიის ამშენებელ კომისიის** კრება 24 იანვარს მოხდება კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნ. ფ. რუდოლფის თავმჯდომარეობით.

✦ **კავკასიის სამკურნალო საზოგადოების კრება,** რომელიც 17 იანვრისთვის იყო დანიშნული, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო.

✦ **ქალაქის სახელოსნო სკოლასთან ხელოსანთა შეგირდებისათვის სალამოს კურსები გაიხსნა.** ჯერ-ჯერობით მხოლოდ პირველი განყოფილება არის გახსნილი. სადაც 40 მოსწავლეა. კურსებზე გადიან რუსულს ენასა და არითმეტიკას პირველ დაწყებით სკოლების პროგრამით. ამას გარდა ხაზვა-ხატვასაც ასწავლიან. უქმე დღეებში სწავლა დღისით არის.

✦ **ქალაქის საბჭოს** კრება დღეს მოხდება. საბჭო განიხილავს რ. ჯანიბეკოვისა და მ. კალვეიტის თხოვნებს. პირველი 2.000 მან. ზარალის ანაზღაურებასა, ხოლო მეორე დარჩენილ საიჯარო გადასახადის პატიებასა თხოულობს,. ამას გარდა საბჭო აირჩევს შემდეგს კომისიებს: საბიუჯეტო-საფინანსოსა, სარევიზიოსა, საადგილ-მამულოსა, სასკოლოსა, სატრამვაიოსა, ქალაქის თავშესაფართა გამგესა, სატყეო-საბაღოსნოსა, პენსიების გამგესა და ლომბარდისა და სააუქციო დარბაზის რევიზიის მომხდენისა.

სასამართლო

✦ **ოფიციალურ გაზ. „კავკაზ“-ის შარშანდელს რედაქტორ-გამომცემელს ვ. ვ. სტრატონოვს** ამავე გაზეთის თანამშრომელი გ. მ. პავლოვი 16 მან. 7 კაპ. უჩივის მომრიგებელ სასამართლოში. მოწმებად გ. პავლოვის მიერ დასახელებულნი არიან: „კავკაზ“-ის ძველი რედაქტორი ა. ი. ბელინსკი, „ზაკავკზიე“-ს რედაქტორი ი. ი. რადიკე და თანამშრომელი ნ. ა. იუნიჩი, თანამშრომელი „ტიფ. ლისტ“-ისა ვ. ა. ლიმაროვი და „კავკაზი“-ის რედაქციის კანტორის გამგე ი. ი. გორბაჩევი. ბ-ნი პავლოვი საჩივარში სწერს, ვ. სტრატონოვმა პირობა დაარღვია და ჯამაგირი სრულად არ მომცაო.

✦ **გაუპატიურება.** ტფ. სამოსამართლო პალატამ ხალხის დაუსწრებლად გაარჩია საქმე თევდორე კაშჩეევისა, რომელსაც 12 წლის ქალის ლონდარენკოს გაუპატიურება ბრალდებოდა. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც კაშჩეევი დამნაშავედ არის ცნობილი და სამის წლის პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა აქვს გადაწყვეტილი.

ამავე პალატამ გაარჩია საქმე ერმოლოზ პოლიაკოვისა, რომელსაც თავის ქალის შვილის (7წლისა) გაუპატიურების განზრახვა ბრალდებოდა. ბაქოს ოლქის სასამართლოს მიერ იგი გამართლებული იყო და საქმე პალატაში პროკურორის პროტესტით გადმოვიდა. პალატამ პოლიაკოვი დამნაშავედ იცნო და სამის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა.

სომეხთა ცხოვრებიდან

✦ **სომეხთა მოღვაწეს პეტროს სიმონიანს** საფლავზე, ვანქის ტაძრის ეზოში, ძეგლს ადგამენ. ძეგლი 1200 მან. ჯდება. შეკრებილია 650 მან. 60 კაპ.

✦ **წიგნის გამომცემელ სომხურ საზოგადოების** კრება 18 იანვარს მოხდა. კრებამ დაადგინა, მოკლე ხანში სომხურ დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენელთა საერთო კრება მოიწვიოს იმის გადასაწყვეტად, თუ როდის და როგორ იქმნეს აღნიშნული სომხური მწიგნობრობის არსებობის 400 წლის თავი.

ქუთაისი.

✦ ქალაქის მოურავს ი. მ. ჩიქოვანს ტფილისში ყოფნის დროს მოულაპარაკია ა. პ. სარაჯიშვილთან **ქუთაისში დ. ზ. სარაჯიშვილის სახელზე თეატრის აშენების თაობაზე.** ა. პ. სარაჯიშვილს დაუდასტურებია, რომ ეკატერინე სარაჯიშვილისას (განსვენებულ დავითის ქვრივს), რომელიც ამ ჟამად გერმანიაშია, დიდი სურვილი აქვსო ეს საქმე რაც შეიძლება მალე მოიყვანოს სისრულეშიო.

✦ უგანათლებულეს თავად **გ. დადიანის ანდერძით** ქალაქის გამგეობამ 500 მან. მიიღო ღარიბებისთვის დასარიგებლად.

✦ **საკათედრო ტაძრის** გალავანის შემოვლება იჯარით 2814 მან. ბერძენმა კოშმაროვმა აიღო.

✦ ქუთაისის გუბერნიაში ყოფილა სულ 380 **სამრევლო და სამინისტრო სკოლა;** უნდა ყოფილიყო 1489 სკოლა ამიტომ წელს განზრახვა აქვთ გაიხსნას 540 სკოლა, შემდეგ ამ რიცხვს მიემატოს სანამ გადაწყვეტილ რიცხვამდე არ მიაღწევენ.

✦ **ბათუმიდან გასული ოსმალეთის გემი**—ლაზისტანი, ნავთით დატვირთული, ბელგიის გემს აპშერონს დასჯახებია და დაზიანებული ჩაძირულა. ხალხი გადარჩენილა.

✦ ქალაქის სამოსწავლო კომისიას კრება ჰქონდა იმ საკითხის განსახილველად, მიიღოს თუ არა ქალაქმა **„მკურნალის გიმნაზია“.** კრებაზე მოწვეულ იყვნენ ბ-ნი მკურნალი, ქუთათელაძე და ეზიკოვი, როგორც გიმნაზიის წარმომადგენელნი.

✦ სახაზინო პალატამ დაადგინა: ჩაირიცხოს **ქუთაისის მოქალაქეთ** ივანე ზვიადაძე და ფილიპე კენჭაძე. **პირველ გილდის ვაჭრებად:** იაკობ და გაბრიელ იაკობიშვილები.

✦ 19 იანვარს მოხდა **შავი-ქვის საბჭოს** მორიგი სხდომა.

✦ **შავი-ქვის საბჭომ დაადგინა:** მიიღოს მონაწილეობა **მ. საფაროვ-აბაშიძის** იუბილეზე დეპეშის გაგზავნით. **ჭიათურის** დრ. საზ. დაადგინა გაგზავნოს გამგეობის წევრი და იუბილიარს მიართვას ადრესი. **სამტრედიის** დრ. წრემ დაადგინა გამართოს სადღესასწაულო წარმოდგენა იუბილიარის სახსოვრად.

✦ 15 იანვარს, ექიმმა **ვასილ წერეთელმა** წაიკითხა სამკურნალო საზოგადოების კრებაზე მოხსენება **ჭალის-მთის წყლის შესახებ,** რომელიც ქიმიურად გამოუკვლევიათ ინჟინერ-ქიმიკოსის რომანოვის ლაბორატორიაში. წყალში ბორის მარილი ცოტა ყოფილა, მაგიერად სხვა წყლებთან შედარებით, ბევრი ნახშირ მჟავაბადის მაგნეზია აღმოჩენილა. ეს მარილი, მომხსენებლის აზრით, მშვენიერი სამკურნალო საშუალებაა. ჭალის-მთის წყალი რგებს ავადმყოფს, რომელსაც ნაწლევები მოდუნებული აქვს და ყაზბობა სჩვევია, აგრეთვე იმას, ვისაც ნეკრესის ქარები აქვს. ამას გარდა ბორჯომის წყალი, ვიში და ესენტუკი არ შეუძლიან დიდხანს სვას, ვისაც თირკმელები ცოტათი მაინც დაზიანებული აქვს: ჭალის-მთის წყალი კი თირკმელებს არას ავნებს, კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობას კი ჰკურნავსო. („კოლხიდა“).

ბათომი

✦ **ბ. სტაროსელსკის მამულის გაყიდვა,** როგორც გაზ. „ბაქოს“ ატყობინებენ, 14 ათას მანეთად საჯარო ვაჭრობით გაუყიდიათ ქუთაისის ნაგუბერნატორალის მამული. მამული შეუძენია მიწათ მოქმედებისა და სახაზინო მამულთა გამგეობას.

✦ ქალაქის მეორე პირველ დაწყებითი **ქართული სკოლის გამგე** სთხოვს ქალაქის გამგეობას, რომ მიექცეს ყურადღება ამ სასწავლებლის ეზოს, სადაც წვიმის დროს დიდი ტალახი დგება, რომლის გამო სასწავლებლის სუფთად შენახვა ყოვლად შეუძლებელი ხდებაო.

✦ **ქალაქის ლომბარდის გამგე** აცნობებს ქალაქის გამგეობას, რომ ლომბარდის კასის სიცალიერის გამო ლომბარდს არ შეუძლიან გირაოს მიღება, და ამის გამო სთხოვს გამგეობას დაუბრუნოს ლომბარდს ის 300 მანეთი, რომელიც სესხად აქვს წაღებული და მასთან 1000 მანეთი სესხად [illegible] 25 აპრილამდე. 14 იანვარს ლომბარდის კასაში ყოფილა 6 მან. და 59 კაპ და 16-ს კი ერთი კაპეიკი.

✦ 1 დეკემბერს ლომბარდში დარჩენილა 62,662 მანეთის დაგირავებული ნივთი; ამ თვის განმავლობაში ლომბარდს გაუღია 8238 მანეთი: გამოუყიდიათ, გადაუგირავებიათ და ლომბარდს გაუყიდნია 6987 მან. პირველ იანვარს ლომბარდში დარჩენილა 2677 მან. დაგირავებული ნივთი.

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა: მიეცეს 300 მანეთი სესხი და 1000 მან. კი უარი უთხრა, რადგან ქალაქის კასაც იმავე მდგომარეობაშია, როგორც ლომბარდისა.

✦ **ქალაქის ბეითალი** აცნობებს ქალაქის გამგეობას, რომ, რადგან არდაგანის საქონელი არ არის, ქალაქის სასაკლაოზე ჰკლავენ აჭარის საქონელს და უფრო კამეჩსაო. პირველიდან 14 იანვრამდე 411 დაკლულ საქონელში 112 კამეჩიაო.

(„ბათ. გაზ.“)

კაკავი.

✦ **ნინოობა.** 14 იანვარს, ქართულ ეკლესიაში სწირა არქიეპისკოპოსმა პიტირიმმა არდონის სემინარიის რექტორის თანამწირველობით. წირვა ქართულად სწარმოებდა; არქიეპისკოპოსმა პიტირიმმა და მღვდელმა ნათაძემ სიტყვები წარმოსთქვეს.

წირვის შემდეგ ქართულ სასწავლებლის დარბაზში გამართულ იქმნა სადილი, რომელსაც დაესწრო: არქიეპისკოპოსი პიტირიმი, არდონის სემინარიის რექტორი, პოლიცმეისტერი, ქალაქის თავი, უფროსი ექიმი კადეტის კორპუსისა კალანდარაშვილი, საურთიერთო ნდობის საზოგადოების დირექტორი თავადი ლორთქიფანიძე, გიმნაზიის მასწავლებელი ტ. ბ. კახიძე, ქართულ სასწავლებლის გამგეობის თავმჯდომარე იოსებ გრიგოლის ძე შვილიევი და სხვანი.

დღესასწაულის მოწყობაში დიდი შრომა მიიღო ი. გ. შვილიევმა.

(„ვლად. ლისტ.“).

პროვინცია

✦ **ს. დიდი-ჯიხაიში** (იმერეთი), ამ წლის 4 იანვარს ადგილობრივ უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დარბაზში მოხდა კრება ს. დიდ-ჯიხაიში **სახალხო სახლის** აგების შესახებ. კრებას ორმოც და ათამდე კაცი დაესწრო. მათ იქონიეს მსჯელობა ნახსენებ საგანზე და ერთხმად სასურველად მიიჩნიეს ასეთი სასარგებლო დაწესებულების დაარსება. ამორჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა დაწვრილებით დასაბუთებული მოსაზრება წარმოუდგინოს შემდეგ კრებას, რომელიც ამავე საკითხის უფრო საფუძვლიანად განხილვისათვის ყველიერში შეიკრიბება. კომისიაში არჩეულ იქნენ: ბ-ნი ქ. ლორთქიფანიძე, დიდი-ჯიხაიშის ქსენონის ექიმი ბ-ნი ევ. ლოსაბერიძე და ხონის რაიონის ბლაღოჩინი მღ. ს. დევიძე.

✦ **სოფ. ფხვენისში** (გორის მაზ.) რაღაც **უცნაური სატკივარი გაჩნდა:** დიდებსაც და პატარებსაც მეტ ნაწილად ყელი უსივდებათ შიგნით და გარედ, საშინელ სიცხეს აძლევთ და წითლად აყრით ყელზევე. (ამბობენ ყალათმააო, მაგრამ ყალათმა არ უნდა იყოს) ჯერ-ჯერობით სიკვდილი არ გამოუწვევია. საჭიროა ექიმის შემოწმება და დახმარება, რადგანაც ხალხზე სისწრაფით გადადის.

ამინდი მშვენიერი სდგას. ჯერ თოვლი არ გვინახავს. 16—17 იანვარს საღამოთი მაისისებური ჟუჟუნა თბილი წვიმა მოვიდა. ვენახებში გაჩაღებული მუშაობაა; ვენახებს ჰბარავენ და ჰსხლავენ. მოხუცებულები ამბობენ: წელს მოსავალი კარგი იქნება როგორც ჭირნახულისა ისე ღვინისაო. ოღონდ ავადმყოფობა არ გაჩნდესო.

ინგლისელი სტუმრები რუსეთში

(დეპეშები)

მოსკოვი. ჩამოვიდნენ ინგლისელი სტუმრები, სადგურზე ქალაქის გამგეობის წევრები მიეგებნენ. საიმპერატორო ფანჩატურში სტუმრებს მიეგებნენ ქალაქის თავი, ხმოსნები, ადმინისტრაციისა და ინგლისის სათვისტომო წარმომადგენელნი. ქალაქის თავი პურმარილითა და სი-

---

სძლიეს. შეჰურვილთა მათ საღმრთოჲთა შურითა: ხოლო შეურვებულმან კურაპალატმან გულისა შეჭირვებისა გან თქუა. „ნეტარ მას კაცსა. ვინ არღარა ცოცხალ არს“-ო. და მსწრაფლ ხოლო აღდგა და წარვიდოდა; მაშინ ნეტარი ფებრონია დაწყნარებულითა სულითა აყენებდა რაჲთამცა ისტუმრა იგი და არ დაუმორჩილა. რამეთუ მამხილებელად აქუნდა თჳსი გონებაჲ და ნებაჲ რაჲ კორცთ მოყუარებისაჲ განეშორა და აუგი თჳსი გულის ხმა ყო. ხოლო სულითა იხარებდა. სიბრძნემან რაჲ წარიოტა სულმოკლეობა იგი მავნებელი. და აქებდა წმიდათა მათ მძლავრებასა. უფროჲს ხოლო ძლევისა მომცემელსა ღმერთსა. და სიხარულით წარვიდა. რამეთუ გულითა წმინდითა აქუნდა ნეტართა მათ პატივი. ვითარცა სულისა **მისისა საუკუნოდ** გჳრგჳნოსან მყოფელთაჲ:

რაც შეეხება ადარნერსე კურაპალატის, აშოტ ხელმწიფის ძის შემთხვევასა, ნ. მარის ყურად ღება ჯერ-ჯერობით მიუქცევია მხოლოდ ტიპს მოღვაწე ქალისას, რომელსაც განუხორციელებია საქმით იდეალი ყოვლად მიტოვებისა. შემთხვევა IX საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის. ადარნერსე ბაგრატუნიანმა თავისი ცოლი შეიძულა საყვარლის ჩაგონებით და გაისტუმრა აფხაზეთს. დედოფალი ბევრელი იყო ასული ბაგრატ შაროელის ხელმწიფისა. მონაზონად აღიკვეცა და ეწოდა ანასტასია. ან ძაძა მოსილი ნადედოფლარი ასრულებდა მძიმე სამონასტრო საქმესა ფერსათის სავანეში, ზურგით შეშას ეზიდებოდა და სხვ. როცა ადარნერსე კურაპალატი მძიმე ავადმყოფი შეიქმნა გრიგოლ ხანძთელის წინასწარმეტყველებითა, გაგზავნა მოციქულად კეთილი კაცი სახელად კუპრა შენდობის სათხოვნელად დედოფლის წინაშე. მოციქული შეევედრა ანასტასიას აღარ დაეწყევლა მისი ბატონი. მაშინ ქალმა უპასუხა: **„გეფუცები ქრისტესა. არაოდეს აღმოსრულ არს წყევაჲ პირსა ჩემსა, და არცა მას ვსწყევ. ქრისტემან შეუნდვენ ყოველნი ცოდვანი და განკურნენ სულით და კორცით“.** (§ 12).

როგორც ეპოქის, ისე იმ ქვეყნისათვის, სადაც გაიშალა მოღვაწეობა გრ. ხანძთელისა, უმთავრეს მომენტად ქართველ-სომეხთ ურთიერთობა ჩენულობს თავსა.

ტრადიციონული წარმოდგენა გვასწავლიდა, ქართველ სომეხთ უცქირეთ როგორც ორ მოსისხარ ბანაკსაო: დარწმუნებულიყო თურმე იმაზე, რომ უნდობლობაა ჩამოვარდნილი მათ ურთიერთობაში. სარწმუნოებრივი განშორება და ერობრივი ბრძოლა, რომელიც იმ დროებში, როგორც ცხოვრების ყოველი სხვა მოვლენა, ეკლესიობრიობის ფორმად გამოხატა, ხანდახან ორთავ ჩუმის თანხმობითაც, ქართველ სომეხთა ურთიერთობის სრულ შინაარსს წარმოადგენს.

უკანასკნელ დროს აღმოჩნდა კვალი ქართველ სომეხთ თანამეგობრობისა, როგორც საეკლესიო, ისე საკულტურო საქმეებში. მაგრამ ეს ამბავი ეკუთნოდა საქართველოს ქრისტიანობრივი განათლების პირველ ხანს, რასაც ადრევე ჰმოწმობდა ეს, თუ ის ხანდახან სომხის მწერალთა ზღაპრული რამდენადმე ცალმხრივი ცნობა. უფრო მერმინდელდროს ეტყობოდა, ჰმოწმობდა მხოლოდ უკიდურეს ურთიერთობას და გაუცხოებას ქართველ სომხებისას, ყოვლის უწინარეს, რასაკვირველია, საეკლესიო ცხოვრებაში. ასეთი შეხედულება მოდო ყოველ დროს და ყოველ კუთხეს, სადაც ქართველები შეჰხვედრიან სომხებს, მათ შორის გრ. ხანძთელის დროსაც და ტაო-კლარჯეთის ქვეყანასაც. ასეთ დამყარებულ შეხედულებას სერიოზული განსაცდელი არ შემთხვევია რომლისამე თანადროული ძეგლისაგან.

ხელს უშლიდა იგი ქვეყნის სინამდვილის არსებითად გაგებას. იმ შეხედულების ბრალია, რომ გამოცანად იყო წარმოდგენილი ისე მდიდრულად დასახული საისტორიო ფიგურა X საუკუნისა, როგორიც იყო ტაოელი კურაპალატი დავით. აღმაშფოთებელი იყო არსებობა სწორზომიერად ძლიერის თანაგრძნობისა მისადმი სომეხთა მხრითაც, ქართველთა მხრითაც. ძნელი ასახსნელი იყო ორთავ კმაყოფილად ნამდვილ უაღრესად მოჩინარი საკითხი, ვინ იყო ბოლოს და ბოლოს, სომეხი, თუ ქართველი. ასეთმა უხაბრობამ იჩინა თავი, როცა აღმოჩნდა გათქმული ძვირფასი ქართული ხელთნაწერები X საუკუნისა თვით გადამწერთა, თუ შემდგენელთა სომხური მინაწერებითა. ეტყობოდა, ასეთი ბუნებრივ მოვლენის განმარტებას ეძებდნენ შემთხვევით გარეგან თუობაში: ჰფიქრობდნენ, ხელთნაწერები უნდა დაეწერათ ქართველთა მონასტრებში, რომელიც ბედის წერით შიდა სომხეთში ყოფილა აგებული.

პეტრე მირიანაშვილი.

(დასასრული იქნება)

ტყვით მიესალმა. მოსკოვის მიტროპოლიტის სახელით სტუმრებს ღვდელი პრეობრაჟენსკი მიეგება. ხალხმა შეუწყვეტელ „ურას“ ძახილით მიაცილა სტუმრები „ნაციონალურ სასტუმრომდე.

მოსკოვი. ინგლისის კლუბში საუზმის დროს ინგლისის კონსულმა ხელმწიფის სადღეგრძელო დალია; ქალაქის თავმა—ინგლისის მეფის სადღეგრძელო. სტუმრები სადარბაზოდ იყვნენ თანამდებობის პირებთან, შემოიარეს ქალაქი და დაათვალიერეს ქრისტეს-ტაძარი.

ინგლისელმა სტუმრებმა ინახულეს ჩუდოვის მონასტრის სამიტროპოლიტო ბინა, ეპისკოპოსი ტრიფონი მოკლე სიტყვით მიესალმა. შემდეგ მათ დაათვალიერეს იმპერატორ ალექსანდრე მეორეს ძეგლი, ვასილნეტარის ტაძარი, გზაში მოსკოვში მომავალ სტუმრებს დაუთვალიერებიათ რკინის გზის სასწავლებელი და მარხილებით რამოდენიმე სოფელში შეუვლიათ.

ხუთ საათზე ქალაქის თავმა ინგლისელი სტუმრები ჩაიზე მიიწვია. შვიდში „მოსკოვის დიდ სასტუმროში“ გაიმართა ქალაქის თვით-მართველობის ბანკეტი. ქალაქის თავმა დალია ხელმწიფისა და ინგლისის მეფის სადღეგრძელო, და ორ დიდებულ ერთა შორის მტკიცე კავშირის განმტკიცება ისურვა. ლორდ უერდელმა აღნიშნა პეტერბურგსა და მოსკოვში მათი ძვირფასი შეხვედრა და იმედი გამოსთქვა, რომ ჩვენი მოსვლა ხელს შეუწყობს დაახლოვებასა, და დალია სადღეგრძელო რუსეთის მომავალისა.

ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები.

პეკინი, სუნიათზენმა განაცხადა, მზადა ვარ იუანშიკაის დავუთმო პრეზიდენტობაო. ვაიბუ ამის გამოაცხადებს, იუანშიკაის პრეზიდენტობა არა ჰსურვებია და რევოლუციონერებთან არც კი ჩამოუგდია ამაზე ლაპარაკიო.

ჩიფუ. ახალი გუბერნატორი მატყუარა აღმოჩნდა. აქ მოვიდა როგორც სუნიათზენისაგან გამოგზავნილი და მისთვის კი დეპეშა გაუგზავნია, ხალხმა ამირჩიაო. ეხლა ახალი გუბერნატორი უნდა ამოირჩიონ. ინგლისის გაზეთები იუწყებიან, თენჯოუსთან რევოლუციონერების 1500 ჯარისკაცი გემიდან გადმოვიდაო. ჯარს თურმე ჰმეთაურობს სილინი, რომელიც იაპონიაში იყო ცხრა წელიწადს.

პეკინი. თიანძინში ვიცე კოროლისა და ჯარის უფროსის სადგომების ყუმბარით აფეთქება სცადეს, მაგრამ ვერ მოახერხეს. ხალხი ძალიან დაშინებულია. ბევრმა უცხოელთა კონცესიაში შეაფარა თავი.

ქვრივმა დედოფალმა იუანშიკაის უბრძანა, მარკიზის ხარისხი მიიღე, როდესაც საერთო მდგომარეობა (გამოტოვებულია). მთავრობა თათბირობს იმის თაობაზე, თუ რა ზომები მივიღოთ პეკინსა და პროვინციებში, თუ ვინიცობაა მეფე გადადგაო. იუანშიკაის ერთგული ჯარი პეკინისკენ მოდის.

მუკდენი. იაპონელებმა ქალაქში ჯარის კაცთა რაზმი შემოიყვანეს იაპონელთა დასაცავად. ეს გამოიწვია რამდენიმე იაპონელის დაპატიმრებამ, რომელთაც სარევოლუციო ქადაგებას სწამებდნენ. ჩჟანცზოლინი მხეცურ მოქმედებას განაგრძობს: იგი აწამებს და ჰკლავს ყველას, ვიზედაც ეჭვი შეუვა, რევოლუციონერების მომხრეაო. 17 და 18 იანვარს 37 კაცი ჩამოახრჩეს, ქალაქი აღელვებულია, ხალხიც იხიზნება. ვიცე კოროლი აცხადებს, ჩჟანცზოლინის წინააღმდეგ ზომები მივიღე და მშვიდობიან მცხოვრებთაც დავიცავო.

მუკდენის სასახლეში არსებულ განძეულის დაგირავებით ჯაოერსუნს ჰსურს გერმანელებისაგან ხუთი მილიონი ისესხოს. რევოლუციონერებმა გერმანიის მუკდენში მყოფ კონსულს დეპეშით აუწყეს, სესხის საქმე ჩაშალეთ, ნეიტრალიტეტი დაიცავითო, მანჯურიის რკინის გზის სადგური-თელინი დაიწვა.

გაზეთებიდან.

პეკინი.

იუანშიკაიმ და მთლად სამინისტრომ სამსახურს თავი დაანება. ჩჟაოირსუნმა არ მოისურვა ახალ სამინისტროს შედგენა. იუანშიკაის ევროპიელთა კონსულებისთვის უთხოვნია, დაგვეხმარეთ მონგოლეთის საკითხი ჰააგის ტრიბუნალს გადაეცეს გადასაწყვეტათაო.

— მთავრობის ჯარის უფროსებმა დედოფალს ურჩიეს, ხელი მოაწერე მეფის გადადგომის მანიფესტსაო. თუ გვიბრძანებთ, თავს დავდებთ მეფისათვის, მაგრამ რევოლუციონერებთან ბრძოლაში ძალიან ცოტა იმედია, ჩვენის გამარჯვებისა, რადგანაც ისინი ძლიერ ბევრნი არიანო.

იტალია-ოსმალეთის ომი

დეპეშები.

ბიზერტა. ნაღმოსანთა პატარა ესკადრა სააღლუმოდ ტუნისის სამხრეთ მხარეს მიდის, ამბობენ, ამით კონტრაბანდის გადაზიდვა მოისპობაო.

რომი. ტრიპოლისში მთავრობამ გაჰგზავნა რამდენიმე კაპიტანი, რომელთაც ჩაბარებული ექნებათ დირიჟაბლების (საფრენი მანქანა) მოვლის საქმე. ესენი თებერვლის დამდეგს დაიწყებენ მუშაობას.

გაზეთებიდან.

რომი.

„კორიერე დელა სერას“ დატყვევებულ ჯარისკაცთაგან წერილები მიუღია. ჯარისკაცნი, თურმე, სწერენ, ტყუილია, ვითომც ოსმალნი სასტიკად გვეპყრობოდნენო.

პარიზი.

ტუნისის ბეიმ ყველას აუკრძალა ტრიპოლში აქლემების წაყვანა და გაყიდვა.

— ტუნისელებმა დემონსტრაცია მოახდინეს ჯერ საფრანგეთის საკონსულოსთან შეიკრიბნენ და მეგობრობა გამოუცხადეს ფრანგებს, შემდეგ კი იტალიელთა საკონსულოსთან სამტრო დემონსტრაცია გამართეს.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

18 იანვარი.

ლისაბონი. გაფიცვის გამო ლისაბონის ოლქში საალყო წესები შემოიღეს.

ბელგრადი. თეატრში, წარმოდგენის გათავებისას, ახალგაზდა კაცმა მილეტიჩმა რევოლვერი ორჯერ ესროლა და მოჰკლა სახელმწიფო კონტროლის მოხელის პავლოვიჩის ასული და სასიკვდილოდ თავი დაიჭრა. მკვლელობის მიზეზი უიმედო სიყვარული ყოფილა.

გაფიცვა.

ლისაბონი. წუხელის ათას კაცამდე დააპატიმრეს. კოიმბრში გაფიცულნი ქარხანას დაეცნენ დი პოლიციას ქვის სროლა დაუწყეს.

გაზეთები არ გამოსულა. მთავრობამ ავტომობილების საშუალებით დაგზავნა ცნობები საქმის ვითარებისა. იქ აღნიშნულია, საკონსტიტუციო გარანტიათა მოსპობის შემდეგ, ზოგიერთი საეჭვო პირი დავაპატიმრეთო. სინდიკალისტთა მეთაურების სადგომში ყუმბარები აღმოაჩინეს. სინდიკატების ბინას ჯარი შემოარტყეს და ზარბაზნებიც მიიტანეს. სინდიკალისტებს მოსთხოვეს, თხუთმეტ წუთის განმავლობაში დაგვემორჩილდითო. სინდიკალისტები დაჰმორჩილდნენ. 60 კაცი სამხედრო გემზე მოათავსეს. მოძრაობა სინდიკალისტებმა დაიწყესო, ამბობს მთავრობა, მათ შეუერთდნენ ანარქისტები და ფულს კი მონარქისტები აძლევდნო. როდესაც გამოირკვა, რომ ლისაბონის დივიზიის უფროსის მიერ მიღებულმა ზომებმა გასჭრა, ქალაქი დამშვიდდა.

ვენა. ვენის უნივერსიტეტის ხორვატელმა და სხვა სლავიანთა 150 სტუდენტმა მოინდომა უნგრეთის სამინისტროს სადგომს წინ დემონსტრაცია მოეხდინა, მაგრამ ვერ მოახერხეს. დემონსტრაციის მიზეზი ამას წინად ხორვატიის სეიმის დათხოვნა იყო.

ბრიუსელი. ბორინაჟის მთა-მადანთა პატრონებმა უარჰყვეს შუამავლობა მინისტრ-პრეზიდენტისა, რომელიც სცდილობდა მუშათა გაფიცვისთვის ხელი შეეშალა.

პარიზი. ქარხნის ხაზინადარს ვიღაც ბოროტ-განმზრახველი დაეცა, თვალებში პილპილი შეაყარა და 60 ათასი მანეთი წაართვა.

ჯულფა. მსროლელთა პირველი პოლკი თავრიზიდან რუსეთს წამოვიდა.

რუსეთი.

პეტერბურგი. საოლქო სასამართლომ გაამართლა დონის-როსტოვის ჭეშმარიტ-რუსთა კავშირის განყოფილების თავმჯდომარე ჩარიკოვი და 17 ოქტომბრის კავშირის ნაფიცი ვექილი სევასტიანოვი, რომელნიც პასუხის-გებაში იყვნენ მიცემულნი 1907 წლის 7 იანვრის „ნოვოე ვრემია“-ში მოთავსებულ დეპეშის გამო. დეპეშაში როსტოვის პოლიციის მოქმედებას ეხებოდნენ.

იალტა. გენერალმა დუმბაძემ სასახლის მინისტრისაგან წერილი და სამეფო სახლეულობის სამი სურათი მიიღო.

უცხოეთი

გერმანიის არჩევნები.

გერმანიის ეხლანდელ არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს. საზოგადოდ მემარცხენეებმა 7 მილიონ ნახევარი ხმა მიიღეს, მემარჯვენეებმა კი ოთხი მილიონი და შვიდასიათასი რეიჰსტაგში ეხლა წინანდელ 53 მაგივრად, 110 სოციალ-დემოკრატი იქნება.

„ფორვერსტი“ მშვიდობიანის კილოთი მსჯელობს არჩევნების თაობაზე. ეტყობათ, სოციალ-დემოკრატები რეისხტაგში მუშაობას მიჰყობენ ხელს, მაგრამ ყველაფრის პასუხისგებას კი მაინც ვერ იკისრებენ. ეს საქმე ისევ ლიბერალებს დაეკისრება. სოციალ-დემოკრატთა გაზეთი ამბობს: ჩვენ ენერგიულად ვეხმარებოდით ლიბერალებს და გვსურს, სიტყვა საქმედ ვაქციენოთო.

„ფორვერსტის“ აზრით, სოციალ-დემოკრატები, როგორც პარლამენტში ისე მის გარედ, ეცდებიან გერმანიის დემოკრატიზაციას და რეფორმის საშუალებით მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობას. ჩვენ ვიბრძოლებთ გადასახადების გადიდებისა და სანოვაგის გაძვირების წინააღმდეგ. კარგად ვიცით, რომ იმპერიალიზმთანა და შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლაში არავინ დაგვეხმარება, მაგრამ ლიბერალების იმედი გვაქვს იმ მხრივ, რომ მოგვეშველებიან საპოლიტიკო თავისუფლების მოპოებისა და პროგრესის საქმეშიო.

განთქმულმა პროფესორმა იურისტმა ლისტმა, რომელმაც კონსერვატორების კანდიტატი დაამარცხა და დეპუტატად აირჩიეს, დღევანდელ ლექციაში სთქვა: „დარწმუნებული ვარ, ინტელიგენცია დიდ შეცდომას ჩაიდენდა, პოლიტიკას მთლად რომ ჩამოჰშორებოდაო. საპოლიტიკო პარტიულმა მოღვაწეობამ შეიძლება ყოველთვის ვერ დაგაკმაყოფილოთ. მიუხედავად ამისა, განათლებულ ადამიანს ნება არა აქვს ყველა ამას გვერდი აუაროს, თუ ჰსურს მოქალაქის მოვალეობა აასრულოს. ჩვენ, მოხუცებულებმა, ახალგაზდობას მაგალითი უნდა მივცეთ, სტუდენტებს მარტო სიტყვის წარმოთქმას კი ნუ დავაჩვევთ, სამშობლოს საკეთილდღეო მუშაობაც ვასწავლოთ. პარტიისთვის მუშაობა, სამშობლოსთვის მუშაობაცაა“.

თუ სოციალ-დემოკრატებმა სხვანაირად არ შეჰხედეს საკითხს და ბერნშტეინს დაუჯერეს, რეიჰსტაგში ეხლა ყველაზე მრავალწევრიანი პარტია სოციალ-დემოკრატიაა და შეიძლება პრეზიდიუმშიაც ვინმე მოჰყვეს ვიცე-პრეზიდენტად.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული „სახალხო გაზეთის“ საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ჩემი და ჩემი კრებულის მხრივ შემდეგ პირებს, რომლებმაც ჩემდამო რწმუნებულ თეკლათის დედათა მონასტრის სკოლის წმ. ნინოს ეკლესიას შემოსწირეს:

უსახელომ 25 მან. კნეინებმა: ნატალია ნიჟარაძის ასულმა ერისთავისამ 60 მან., ნინო ამილახვრისამ 10 მან., ბაგრატიონ-მუხრანსკისამ 10 მან., ალექსანდრა მაკარის ასულმა მელიქოვისამ 6 მან., მარიამ ორბელიანისამ 5 მან., დარია დადიანისამ 5 მან., სოფიო მხეიძისამ 5 მან., ნინო ჩიჩუას ასულმა მიქელაძისამ 5 მან., პუპი მიქელაძისამ 3 მან., სალომე ჩიქოვანისამ 10 მან., ალექსანდრა ჩიქოვანისამ 3 მან., ელენე წულუკიძისამ 3 მან., ტერეზია შერვაშიძისამ 5 მან., მარიამ ანჩაბაძისამ 3 მან., ელენე ფალავასამ 2 მან., ნ. გელოვანისამ 2 მან., თამარა ჩიქოვანისამ 2 მან., მატრონა წერეთლისამ 1 მან., ელისაბედ წერეთლისამ 2 მან., მარიამ შერვაშიძისამ 2 მან., წისა შერვაშიძისამ 1 მან., ჰადუ მარშანიასამ 3 მან., საშა მარლანიასამ 1 მან. კნიაჟნა ნინო მაყაევის ასულმა 2 მან., ანნა წერეთლის ასულმა 1 მ. ქალბატონებმა: კატო დგებუაძის ასულმა მჭედლიძისამ 15 მან., ნინო კახიძისამ 3 მან., მინადორა ეგნატეს ასულმა ხოშტარიასამ 5 მან., ნოტიო ბახვას ასულმა ლოლუამ 5 მან., ლისა საბახტარიშვილისამ 5 მან. ვასასი ქვანიასამ 5 მან., ეფროსინე ხუმარაძემ 3 მან., ელენე გაბუნიასამ 5 მ., ნინო თურქიასამ 3 მ., სოფიო დვალიშვილისამ 1 მ., მარიამ ჩაჩავამ 1 მ., ნადია ძეუნარგიამ 1 მ., ფედოსია გეგენავამ 3 მ., ნინო ანშიბაიას ასულმა ხუბუტიასამ 2 მ., ფატი ახვლედიანისამ 1 მ., მარიამ დიდიამ 1 მ. 50 კ., ნინო კემულარიასამ 10 მ., ვასილისა ლოლუას ასულმა სანაიამ 3 მ., აგრაფენა ხუხუნწაიამ 1 მ., დესპინე ქირიამ 3 მ., ზეზა საყვარელიძისამ 1 მ., ნინო მდივანისამ 1 მ., მარია ცხომელიძისამ 1 მ., სალომე ქიქინაძისამ 3 მ., უსარსანი ლოლუამ 3 მ., ივლიტა საბაშვილმა 1 მ., მარია ძარღანიამ 1 მ. ძონაზონ ელისაბედმა 1 მ. თავადებმა: ოტიე დადიანმა 3 მ., ივანე დადიანმა 5 მ., ბესარიონ მხეიძემ 3 მ., პეტრე ერისთავმა 3 მ., ი. დადიანმა 10 მან., იოსებ კაიმ 1 მ., არჩილ ვალერიანეს ძე სიდამონოვ-ერისთავმა 3 მ., ჟუჟუ ჩიქოვანმა 1 მ., კოლია მხეიძემ 2 მ. ირაკლი ქაიხოსროს ძე კალანდარაშვილმა 2 მ., პეხუ მაღნარაძემ 1 მ., დუტუ ხარბედიამ 120 მ., ფარნა გვიჩიამ 1 მ. 50 კ., ვიქტორ გაბუნიამ 1 მ., ალექსანდრე გუიიამ 1 მ., ავქსენტი გულუამ 1 მ., იოსებ კემულარიამ 9 მ., პეტრე დგებუაძემ 2 მ.. ალექსანდრე გვიჩიამ 3 მ. ივაკა ჯორჯიკიამ 3 მ. კორძაიამ 5 მ. სპირიდონ ლოსაბერიძემ 2 მ. ესტატე კერესელიძემ 5 მ. დავით წერეთელმა 1 მ. გრიგოლ ჩაჩიბაიამ 3 მ. თითო მანეთი ვარლამ გაბუნიამ, გაიოზ ქავთარაძემ, სოლომონ გაბუნიამ, ასათიანმა, ვლადიმერ წერეთელმა, სერიოჟა გაბუნიამ, იოსებ გველესიანმა და ერასტი ქიქინაძემ 10 მ. გიორგი უცხოველმა 1 მ. დათიკო ჩიქოვანმა 2 მ., კ. თოფურიძემ 2 მ., ძღვანმა 3 მ., ილარიონ დოლიძემ 2 მ. გიორგი თვალავაძემ 2 მ. ივანე ნ. ძიძიგურმა 5 მან. პავლე ნ. ძიძიგურმა 5 მ. ანდრო ძიძიგურმა 1 მ., გრიგოლ მუმულიამ 1 მ., კონსტანტინე ჯანჯღავამ 2 მან. კაპ. მიქაძემ 1 მ. კატარავამ 3 მ. ლევან და ნიკო სიტინავებმა 3 მ. თითო მანეთი შენგელიამ, ილარიონ მაღლაკიძემ, ანდრი რეკვავამ, ალექსანდრე გაბელაიამ, სამსონ ალანიამ, თომა სანიკიძემ, ილია იაკის ძე იაკიმიდი, რაჟდენ დვალიშვილი, მარკოზ ხუნწარიამ; ნიკო ვონიამ, უშანგი კიტიამ, დიონოზი ხორავამ, ეპიფანე ასათიანმა 2 მ., ფარნა გაბუნიამ 1 მ., მინა ახვლედიანის ასულმა 2 მ., ნ. გოგვაძემ 3 მ., სამსონ დოლიძემ 1 მ., მურზა დუდუჩავამ 1 მ., ბარნაბა თოხაძემ 1 მ., გიორგი ცომაიამ 1., ქ-ნი ჟენია დზუბენკო 3 მ., სიმონ გაბელაიამ 1., მაქსიმე მისაბიშვილმა 1 მ., № საყვარელიძემ 1 მ., 50 კ., კარლო ჩიჩუამ 1 მ., გერასიმე ხარებავამ 2 მ., ბეგლარ შენგელიამ 1 მ., სილიბისტრო კვატაძემ 3 მ., ვასილ ჩაჩიბაიამ 5 მ., ვასო კუცავამ 1 მ., ათანასი ქანტურაიამ 1 მ., რომანოზი ცომაიამ 1 მ. 50 კ., ირაკლი ქანტურაიამ 1 მ. 50 კ. ისიდორე სილავავამ 1 მ. 50 კ., ყარამან გეგეჭკორმა 1 მ. 50 კ., ბესარიონ ტყიბურავას, რომანოზ ცომაიას და ირაკლი ქანტურაიას შემწეობით აბაშის ვაჭრებმა შემოსწირეს 12 მ., ანდრი ლინჯიამ 1 მ.

წინამძღვარი თეკლათის ღვთისმშობლის მონასტრისა **იღუმენია ნინო.**

ახალი სენაკი.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)

(დრო ტფილის. საათითა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—II კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 28 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ხ, I—II კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან: 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—II კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № , I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, I—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტიანი (საკუთარ. საწოლებით).

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—::—

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში, თუ სხვა—ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის საგაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 5 და მალაკანის მოედანზე.

განცხადებანი



№ 4711
სქელი პუდრი
კანს ხავერდისავით ანაზებს და ილამაზებს
ფერდ. მიულჰენსი
კოლოფი 25 კაპ.
პარფიუმერია № 4711
მისი იმპერატ. უდიდ. სასახლის იჯარადარი.
Метцъ 352138 352158
(9—1538—4)

დაიბეჭდა და იყიდება
ნ. ვ. აბრამიანის
შემდეგი შრომანი:
I
სავაჭრო ბუღალტერიის სახელმძღვანელო,
ნავთის მრეწველობისა და ნავთის ქარხნის წარმოებასთან დაკავშირებულ იტალიურ ორმაგ ბუღალტერიის სისტემით. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა ფასი 2 მ. 50 კ.
II
სარგებლის გამოსაანგარიშებელი ტაბლიცა.
1—30 დღეში, 1/4—12%-დე, ყოველგვარ თანხისა 1—10000 მანეთამდე. მეორე გამოცემა, ფასი 85 კ.
III
ყველასთვის გასაგები ცნობათა წიგნი,
საბუღალტრო კურსების მსმენელ ქალ-ვაჟთა და კანტორ. მომუშავეთათვის, ფას. 30 კ.
ამ გამოცემათა საწყობი ნ. აბრამიანის საბუღალტრო კურსების ბინაზე, ტფილისი, ნიკოლოზის ქუჩა, № 22. ვინც პირდაპირ საწყობიდან ფასდადებით დაიბარებს, გადასაგზავნს არ იხდის. (10—193—1)

გამოცდილმა
მასწავლებელმა
ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. მიღება პირობებით: გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.
აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, სამოქალაქო და სატეხნიკო სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე, ყველა კლასის ჩინისთვის. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.
იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც პანსიონში.
მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.
Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв, 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.
А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).
(თ. 1084.67)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
წელიწადი მერვე.
ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.
წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:
24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა-ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.
ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. ქუთაისში: ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; სამტრედიაში—ივანე გლადკოვთან, ფოთში—თეოფილე კანდელაკთან, ბათომში—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, დ. ხონში—ეკატერინე ვასილის ასულ ბაჩტაძესთან, ოზურგეთში—ლეო იმნაძესთან, თელავში—ვანო პაატაშვილთან, ახალციხეში—კონსტანტინე გვარამაძესთან, ბაქოში—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, გორში ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან. სოხუმში—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, ჭიათურაში—ივანე გომელაურთან, განჯაში ბ. ამბოქაძესთან და ერევანში კ. ოდიშარიასთან.
რედაქტორი ნინო ნაკაშიძე-
(წ.—1627—18 წ.) გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა